*დანართი №2*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

## ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## *სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლა*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:** ელისო ლოლაშვილი -მერებაშვილი

**წევრები:** ფარნაოზ იორდანიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ხათუნა გეგეშიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ელენე ოგბაიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ეთერი ხობუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, );

ქეთევან მეგრელიშვილი ( დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ თბილისის N 130 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 202055694 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | დიღმის მასივი მე-4 კვარტალი |
| ფაქტობრივი მისამართი | დიღმის მასივი მე-4 კვარტალი |
| საფოსტო ინდექსი | 0159 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/25 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi130@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 2 52 88 77 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | MES 8 23 0001270099 ; 30/09/2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 19,20 ოქტომბერი , 2023 წელი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1. | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი | ქართული | თბილისი, დიღმის მასივი მე-4 კვარტალი |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საბაზო | ქართული | თბილისი, დიღმის მასივი მე- 4 კვარტალი |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საშუალო | ქართული | თბილისი, დიღმის მასივი მე- 4 კვარტალი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

***მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.***

*სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით" განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.*

*ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.*

*ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .*

*დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორს,სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს,სკოლის ბიბლიოთეკარს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.*

*ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.*

*ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| **მოსწავლეთა რაოდენობა: 1500** | **ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება**<br>☒ | **აღწერა**<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | **ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება**<br>☐ | |

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;**
- **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.**

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *3.4.1.1* | *სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (21.11. 2024მდე). კერძოდ, უფლებამოსილი ორგანის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობებ* |

***1*** გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.* |
| *3.5.1.3.* | *სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლ ინკლუზიურ გარემოს;* | *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება ( 21.11.2024მდე). კერძოდ, მოაწყოს პანდუსების ან ლიფტი სკოლის შენობაში.* |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
|---|---|---|
| *3.4.1.1* | | *დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი დასაქმება* |

| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>**(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)** | ***რჩევა*** |
|---|---|---|
| *1.1.2.1* | *დაწყებითი საფეხური* | *რჩევა: მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის მე-2 თემაში დაზუსტდეს საკითხები.- ამასთან, წარმოდგენილ უცხოური ენის კურიკულუმებში მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოცემული ქვეცნებები, სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები* |
| ***1.1.2.1*** | *საშუალო საფეხური* | *ბიოლოგიის მე-10 და მე-11 კლ.და ქიმიის მე-10 კლ. საგნობრივ კურიკულუმები გამდიდრდეს შესაბამისი რესურსებით, რომლებიც განთავსებულია კათედრის* |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | *თიმსის ჯგუფის ფოლდერებში. ფიზიკის საგნის მე-10 კლ.კურიკულუმში დაზუსტდეს ქვეცნებები ზოგიერთ ცნებებთან და  შესაბამის საკითხთა კლასტერთან მიმართებით* |
| | | |

**VII.  წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

***დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის  გეგმები, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია , რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები,ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.***

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**
**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**
1.1.1. **სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის (შემდგომში ,, სკოლა'', ,,დაწესებულება'') მისაა: ,,უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოში, სადაც გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინტერესი, აღზარდოს სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი და ეროვნული ტრადიციების მატარებელი წიგნიერი თაობა, რომელსაც ექნება XXI საუკუნის უნარ-ჩვევები.''

სკოლის ხედვაა: ,,შვიდი წლის შემდეგ, ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა 80% მა შეძლოს სამოქალაქო საზოგადოებაში საკუთარი თავის რელიზება, თავისი საქმიანობით თანამედროვე სამყაროში თავის წარმატებულად დამკვიდრება.''

სკოლის მიერ წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა , რომლის შემადგენელია სკოლის მისია და ხედვა, სსგ დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი N10;07.09.23). სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი გენათლების მიზნებს რითაც **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;** სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგდოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მისი როლი მოსწავლის მიღწევებსა და შედეგებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;** წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ჯგუფის შექმნის სკოლის დირექტორის ბრძანება, რომელსაც დაევალა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება.სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში გამოყენებულია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვისთვის კითხვარები.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;** სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობელთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრებებზე,სკოლის დირექტორის განმარტებით, მოხდა ზემიპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ, სკოლის ფოიეში განთავსებულია ბანერი, ამასთან სკოლის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია სკოლის ფილოსოფიის ამსახველი მასალა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლა .შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების განსაღვრის შესახებ;
ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**

**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;** დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით ( ბრძ. N2-158;09.06.23)დამტკიცებული სტრატეგიული განვითარებისა და და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,რომლის მიხედვით სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება შემდეგ სამოქმედო პრინციპებს:გუნდური მუშაობა,თანამონაწილეობა,გამჭვირვალობა,სამართლიანობა, მიზანშეწონილობა,სოციალური პასუხისმგებლობა.დოკუმენტის მიხედვით,სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებისა და ჩართულ მხარეთა პრიორიტეტები და ინტერესები.
სტრატეგიული გეგმა ნათლად უნდა აღწერდეს საკითხებს (სტრატეგიულ მიმართულებებს), რომელთა საანგარიშო პერიოდში განვითარებაც უზრუნველყოფს დასახული ხედვის მიღწევას, საბოლოო ჯამში კი - სკოლის მისიის განხორციელებას.მეთოდოლოგიის მე-7 მუხლი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და პორცესში მათ ჩართულობას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, კერძოდ,სკოლამ წარმოადგინა 2023-2030 წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე 11.09.23 ოქმი N 11). ის შეიცავს სკოლის მისიასთან თავსებად მიზნებს და გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან. მასში ასახულია მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები. გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი პუნქტებით: ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, ფოკუსი პროგრესზე დაფუძნებიდან დოკუმენტის შექმნამდე, თუ რა გზა გაიარა. მისია, ხედვა, ღირებულებები, აღწერა იმისა, თუ როგორ იქნა დოკუმენტი შემუშავებული, SWOT ანალიზი , მასზე დაფუძნებული იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტები და მიზნები, მათი აღწერა და თითოეული მიზნისთვის შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა, რაც ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების შეთანხმებულ და ეფექტიან მუშაობას, დადგენილ ვადებში სტრატეგიული მიზნების მიღწევას და საქმიანობის **შეფასებას.ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სკოლის ერთწლიანი გეგმა დამტკიცებული სამეურვეო საბჭოზე (სხდომის ოქმი N11; 11.09.23). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, მასში გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია გასული სასწავლო წლის შეჯამების და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე, დოკუმენტში ასახულია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამღლება,ადამიანური რესურსების განვითარება,მატერიალურ-ტექიკური ბაზის გაუმჯობესება,უსაფრთხო, ორგანიზებული დადისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა,სასკოლო საზოგადოების ჩართულობა,მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და სხვ.სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტრატეგიული გეგმის მიზნებთან და ამოცანებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.** სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან (2023-2024 წწ) სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, წარმოდგენილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. სტრატეგიული მიზნის შესაბამისად გაწერილია აქტივობების რეალისტური განხორციელების პერიოდი, შეფასების ინდიკატორები, რაც თვალსაჩინოს ხდის რამდენად შესრულდა კონკრეტული ამოცანა, ასევე გაწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკა**ტორი სტანდარტთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;**

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ იკითხება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, კერძოდ დოკუმენტის მე-7 მუხლში მოცემულია სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზაზე განსახორციელებელი აქტივობები, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. მოცემულია მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი ერთეულები/პირები, განხორციელების ვადები. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოხდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.
აღნიშნულზე დაყრდნობით სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

**2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; მონიტორინგის პროცესს წარმართავს სკოლის დირექცია, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;** სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს  დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს  ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფას  სკოლის ვებ-გვერდზე. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**.სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება და გამოიყენება სკოლის განვითარებისთვის. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ რეგულარულად იმართება შეხვედრები, ტარდება გამოკითხვები , რომელზეც განიხილება ზოგადი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები სკოლის განვითარებასთან დაკავშირებით, იკვეთება საჭიროებები, პრობლემები და ისახება გადაჭრის გზები. სასწავლო წლის ბოლოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე კათედრების თავმჯდომარეების, სკოლის დირექციის ანგარიშის საფუძველზე მოხდება სკოლის მუშაობის შედეგების ანალიზის გათვალისწინება. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლა გაანალიზებს, განსაზღვრავს წარმატებულ პრაქტიკას და სუსტ მხარეებს. აღნიშნულ ანალიზს გამოიყენებს მომავალი საქმიანობების დასაგეგმად, რათა მოხდეს თავსებადობა სტრატეგიული განვითარების გეგმასთან საბოლოო მიზნის მისაღწევად ან ახალი რეალობის გათვალისწინებით მოახდინონ მასში ცვლილებების შეტანა. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

**სკოლის დირექტორის** N2-157 (09.06.23) ბრძანებით დამტკიცებულია ,, სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის სსიპ ქალაქ თბილისის N130 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციების დებულება'', რომელიც ითვალისწინებს დასაქმებულთა გაწერიილ ფუნქციებს.ამასთან სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საინფორმაციო მენეჯერი,საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი,ბიბლიოთეკარი, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი,ექიმი,დარაჯი, დამლაგებელი,სსსმ მოსწავლის ასისტენტები,ცეცხლფარეში.სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის მიხედვით, დადგენილია მათი ფუნქცია -მოვალეობები. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის** განხორციელებას.თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები, რომელიც განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტში განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სკოლის სტრუქტურის ორგანოგრამა ;**
- **სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (ბrძ. N 2-157 ;(09.06.23);**
- **საშტატო განრიგით;**
- **შრომითი ხელშეკრულებებით.**
- **სამეურვეო საბჭოს არჩევის დოკუმენტები,**
- **მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმები;**
- **დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმები;**

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;** დაწესებულებამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შეთანხმებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ოქმი N10 ;05.07.23), რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა. დასაქმებულთა მუდმივი განვითარება, კვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზმება და მართვა, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლის ადაპტაცია. წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონსძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის

გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;** დაწესებულებაში სკოლის მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან.სკოლაში დასაქმებული არის მოწვეული მასწავლებელი რომლთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება.თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში დაცულია ყველა თანამშრომელის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;** სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით" გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს.ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიხედვით სკოლაში განსაზღვრულია სკოლის

პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები,რომელთა დაცვით მოახდენს სკოლა შემდგომში კადრების მოზიდვას და დასაქმებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;** სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, ხოლო სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვ. საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს, დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს, მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.** სკოლაში იყენებენ წარმატებულ გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების სხვადასხვა საშუალებას: ურთიერთდასწრებას, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, სხვადასხვა კათედრის მიერ განხორციელებულ ერთობლივ პროექტებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტში. ლიდერი მასწავლებლები რეგულარულად ახორციელებენ შეხვედრებს სხვა პედაგოგებთან, აცნობენ სიახლეებს და უზიარებენ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. შინაგანაწესის შესაბამისად, სკოლაში წახალისების გამჭვირვალე სისტემაა, განსაკუთრებული წარმატებისათვის თანამშრომლებს შინაგანაწესის შესაბამისად უცხადებენ მადლობას, აჯილდოებენ სიგელებითა და ერთჯერადი (ფულადი ) პრემიით. წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება ხდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე სასკოლო დონეზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებით;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თანამშრომლეთა პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- Eeschool ბაზის მონაცემებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;** სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით შექმნილია ხარისხის

განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულებაში გაწერილია შეფასება და განვითარების დადგენის მექანიზმები. ჯგუფის წევრები სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენენ საგაკვეთილო დაკვირვებას, მასწავლებელთა თვითშეფასებას, აძლევენ უკუკავშირს, აკვირდებიან მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესს. მიზნობრივი შეხვედრებითა და ფოკუს ჯგუფების ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ ჯგუფი მასწავლებლებს სთავაზობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა ტიპის ტრენინგს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ,,ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით'' (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე ოქმი N 7; 11.09.23), კერძოდ მუხლი 14 - ის ჩანაწერით დგინდება თანამშრომლის შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასების პირობები. აღნიშულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;** სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. სკოლაში შემუშავებულია შიდა მექანიზმი, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების სახით, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ხელმძღვანელობს, მასწავლებლები გამოვლენილი საჭიროების მიხედვით ესწრებიან ტრენინგებს. ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალის განვითარების ხელშემწყობ აქტივოებებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;** სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც, ძირითადად, გამოიხატება შესაბამის ტრენინგებზე მათ დარეგისტრირებაში.ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება,აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით.სკოლის ხელმძღვანელის განმარტებით, სკოლის პერსონალის პერსონალი ექიმი, ბუღალტერი პერიოდულად გადის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენიგნებს.ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ,, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 27 ე მუხლი არეგულირებს თანამშრომლის სოციალიზაცია - ადაპტაციის პირობებს,რომლის მიხედვით: ახალდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელია დირექტორის მოადგილე და შესაბამისი კათედრის ხელმძღვანელი. არასაშტატო თანამშრომლის ადაპტაციაზე პასუხისმგებელია სკოლის მტუკ-ი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი); აღნიშნული პროცესი ასევე ითვალისწინებს უკუკავშირის მიცემას და სხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის **ინდიკატორი ვერ შეფასდა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი(ბრძ N 2-319) ,, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ'', რომლითაც რეგულირდება სწავლა-სწავლება, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვა, რომელიც ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტით უზრუნველყოფილია ხარისხის მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის.სკოლა

უზრუნველყოფილია ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;**

სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. ში მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესის თავში „მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი''. დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში , როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები - მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები (ცალ-ცალკე), დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და საჩივრის განხილვის წესი და.ა.შ. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი''
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;**

სკოლის განმარტებით, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში,საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლის წევრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის და ჩართულობის შესაძლებლობას.

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელითაც რეგულირდება მშობელთა ჩართულობა. სკოლა განმარტავს, რომ მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებელი და ის აწვდის ინფორმაციას ყველა საკითხზე. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. მშობლებთან კომუნიკაციისთვის დამრიგებლები ძირითადად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ასევე, ხშირია სატელეფონო კომუნიკაცია საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა. გამოცემულ ბრძანებებს საქმისმწარმოებელი აცნობს დაინტერესებულ პირებს.ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

**2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.**

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას.კერძოდ, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის.ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმები, გადაწყვეტილებები), რამაც ნათლად დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმებით;
- სადამრიგებლო პროგრამებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შესაბამის სამსახურთან (MIA 92302582651) ბრძ . N 2-247 ;15:08.23;

სკოლამ წარმოადგინა შენობის ტექნიკური მდგომარეობის-მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის მიხედვით შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა სეისმო მედეგობის თვალსაზრისით გაცემულია რეკომენდაციები სხვადასხვა გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისთვის,აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა ექსპერტების მხრიდან მიმართოს შესაბამის სამსახურებს დროული რეაგირების მიზნით, სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის ფარგლებში გააგზავნა კორესპონდენცია შესაბამის უწყებაში შემდგომი რეაგირების მიზნით.

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური და მასწავლებელთა მორიგეობა.ვიზუალური დათვალიერების სკოლა ნაწილობრივ რეაბილიტირებულია და შემოღობილია სრულად. სკოლის დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის შენობის და მიმდებარე ტერიტორიის დაცვას 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს დარაჯი. პირველადი ი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების მიზნით, სკოლის დირექტორი მიერ გამოცემულია ,, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი'', რომელიც ითვალისწინებს პირველადი დახმარების გაწევის წესს და პროცედურებს. სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად პირველ სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელშიც აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი ინვენტარით:სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცე, მაცივარი, კარადები, შირმა, რომლებშიც განთავსებულია ყველა ის მედიკამენტი, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ. სამედიცინო კაბინეტში საქმიანობს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი.

სკოლის დირექტორის განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მომზადებისთვის, სკოლამ ვიზიტის ეტაპისთვის გაატარა შემდეგი ღონისძიებები: მომზადდა სახანძრო უსაფრთხოებისთვის შესასრულებელი სამუშაოების გეგმა, რომლის დაფინანსებისთვის მიმართა შესაბამის სამსახურს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ქონდა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა გაცემული შესაბამისი უწყების მიერ.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარადგინა სტანდარტის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რითაც აღნიშნულ ხარვეზს 2024 წლის 21 ნოემბრამდე აღმოფხვრის. ასევე წარმოდგენილია კორესპონდენცია, რითაც იკვეთება, რომ სახანძრო უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი

ღონისძიებების საპროექტო სამუშაოებია დაწყებული. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;** სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები და სკოლის მანდატურები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანების„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“-მოთხოვნებს. ამავე ბრძანების საფუძველზე შექმნილია სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ნომერი; მანდატურის/უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი; წარმოდგენილი დოკუმენტაციით მოსწავლეებისათვის მოსწავლისუფლებებისა და წესების გაცნობა ხდება კლასის ხელმძღვანელების მიერ კლასის საათზე. სკოლას, სასწავლო წლის მანძილზე, განხორციელებული აქვს საგანმანათლებლოსაინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები ბულინგის წინააღმდეგ და სასკოლო პროექტი:,,ჯანსაღი ცხოვრების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;ფსიქოლოგიური** დახმარების ფარგლებში მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, უწევს კონსულტაციას ფსიქოლოგიური მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული სერვისის მნიშვნელობას. ამასთან

ფსიქოემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებლები, რომელთა ხელშეკრულებებში გაწერილია მათი ფუნქციები. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობები ჩანს სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილი კლასის საათის თემებში, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზეაღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;** სკოლაში სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვაზე ზედამხედველ პირებად სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ექიმი და მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ამასთან, ვიზუალური დათვალიერებით სკოლა მოწესრიგებულია სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებლები არიან შრომითი ხელშკრულებით დასაქმებული 4 დამლაგებელი. სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულია ბრძანებით ( ბრძ. N 2-294;08.09.20) სველი წერტილების დალაგების წესი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ ’’ (ბრძ. N 2-15; 15.02.21), რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს, რათა უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგიზე პასუხისმგებელი პირად სკოლის დირექტორის მოადგილე (ბრძ. N 2-16;15.02.210,)აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **დაკმაყოფილებულია.**

**6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**;დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის, ხოლო საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ

სივრცეში. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი ითვალისწინებს საკითხებს, რომლის მიხედვით სკოლა შეძლებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი'';
- ,,სველი წერტილების დასუფთავების წესი'';
- ,,საზოგადოებრივი დაცვის წესის დაცვის დოკუმენტი''
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით;
- ექიმთან დადებული ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- დამლაგებლებთან გაფორმული ხელშეკრულებით;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშკრულებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- შენობის მდგრადობის შეფასების დომუნენტით;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

სკოლის განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ქ.თბილისი, დიღმის მასივი მე-4 კვარტალი ს.კ N 01.13.03.011.002

დაზუსტებული ფართობი :8062,00კვ. მ

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1- N12

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით.

დაწესებულება შედეგება ძირითადი კოპრუსისგან , რომელიც დაკავშირებულია დერეფნით (ხიდი) დახმარე კორპუსთან და ცალკე მდგომი შენობებისგან, რომელთაგან ერთში სპორტული და სააქტო დარბაზებია, ხოლო მეორეში- საქვაბე;

ძირითადი შენობა 4 სართულისგან შედგება:

**პირველ სართულზე** - 14 საკლასო ოთახია , განთავსებულია დაჯარის, მანდატურის ოთახები,ექიმის კაბინეტი, რესურსოთახი,ადაპტირებული სველი წერტილი.

**მეორე სართულზე-**10 საკლასო ოთახია,სველი წეტრილები,დირექციის კაბინეტები,ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი;

**მესამე სართულზე**-16 საკლასო ოთახი,კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სველი წერტილები;

**მეოთხე სართულზე-**6 საკლასო ოთახია, სველი წერტილები.

დამხმარე კორპუსში- სპორტული დარბაზია გასახდელებით და სააქტო დარბაზია, რომელიც სარეაბილიტაციოა;

სკოლა ნაწილობრივ რეაბილიტირებულია და ფუნქციონირებს ერთ ცვლაში.ვიზიტის ფარგლებში სკოლაში ირიცხებოდა 1093,მათ შორის 44 სსსმ მოსწავლე და დასაქმებულია 97 თანამშრომელი, სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს დადგენილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობას 1500 მოსწავლეს ორ ცვლაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;** მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული აქტივობებისთვის( დარბაზი, ლაბორატორიები და სხვ,).სკოლას შემუშავებული აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სარგებლობის წესიდა განრიგი , კომპიუტრული ლაბორატორიის სარგებლობის განრიგი და შემუშავებულია სკოლის გაციფრულების გეგმა. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის, ასევეა ექიმის კაბინეტი და ადაპტირებული რესურსოთახი. **შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;** სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. ეტლით მოსარგებლე პირს სკოლის ალტერნატიული შესავლელით შეუძლია დაუბრკოლებლად გაადგილება. პირველ სართულზე განლაგებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული რესურსოთახი. ადაპტირებულია ერთი სველი წერტილი. სსსმ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესი ხორციელდება უნივერსალური დიზაინით, სპეციალური მასწავლებლები გეგმავენ გაკვეთილებს, ახდენდნენ საგანთა შორის ინტეგრაციას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, იძიებენ და ქმნიან რესურსებს მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, თუმცა შენობის სართულებზე გადაადგილება და სასწავლო რესურსების და სივრცეების ხელმისაწვდომობა <u>შშმ *პირებისთვის შეზღუდულია, ვინაიდან სკოლას არ გააჩნია პანდუსი ან ლიფტი, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის* მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რითაც დგინდება, რომ სკოლა 2024 წლის 21 ნოემბრამდე უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით</u> **ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება**ს;სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც გამწვანებულია. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება მათი კიდევ უფრო კეთილმოწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები, კერძოდ: საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, დარბაზებით და სხვ. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია მრავლფეროვანი სასწავლო რესურსებით. სკოლის ინვენტარიზაციის შედეგებით და შესყიდვის დოკუმენტაციით დგინდება მოსწავლეთა მოთხოვნილი კონტიგენტის შესაბამისი სასკოლო მერხების, ასევე დაფების, კარადების ფლობა. ვიზუალური დათვალიერბით ინვენტარი ახალი და მოწესრიგებულია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

საჯარო რესტრის ამონაწერით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტი);
- შენობის აზომვითი ნახაზით;
- ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში 20 კომპიუტერია კომპიუტერულ ლაბორატორიაში; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილის კომპიუტერით და პრინტერით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.**

სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების კაბინეტით სარგებლობის განრიგი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რითაც უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობა ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე. ამასთან,, სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული მართვის გეგმა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს ხელმისწავდომობას ციფრულ ტექნოლოგიებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვიზუალური დათვალიერებით.
- საინფორმაციო ტექნოლოგიების  ფლობის დოკუმენტაციით;
- ცუფრული განვითარების გეგმით.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;** სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;  დაწესებულებამ წარმოადგინა  საქმისწარმოების წესი (ბრძ. N 2-360; 29.12.2021). აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ. აღნიშნულის  გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს.  Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GEGE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ის სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;**

სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GEGE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; დაწესებულება ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებგვერდის გზით **https://skolebi.emis.ge/schools/25**
ამასთან საკომუნიკაციო არხად იყენებს ასევე სკოლის ოფიციალურ ფეისბუქის გვერდს და სკოლის ელ, ფოსტას tbilisi130@mes.gov.ge ; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;** სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, (ბრძ. N 2-17;15.02.21) რომლის მიხედვით კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა გამოიყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;** სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე https://skolebi.emis.ge/schools/25 **.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

დაწესებულების ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვ, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ-გვერდის დათვალიერებით;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდის დათვალიერებით;
- მშობლეთან უერთიერთობის დებულებით.

შეფასება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და რომელიც მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით,სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი შემუშავება სკოლის დირექტორის განმარტებით გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
- დაფინანსების ანალიზის შედეგებით;
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;** სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესს და პირობებს, რომელიც თავის მხრივ ავსებს შინაგანაწესს და უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლიც განიხილავს შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების გადაცდომის საკითხებს, ასევე ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, რომელთა საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;** სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.** მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;** სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე.სკოლას შემუშავებული აქვს ალკე დოკუმენტად მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის eschool შესწავლით, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** სკოლა ახორციელებს ფასიან მომსახურებას სხვადასხვა წრის სახით. სკოლის განმარტებით, მომსახურების შესახებ ინფორმაციის გაზიარება მოხდება მშობელთა კრებებზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ აქტიურად იყენებენ საინფორმაციო დაფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სასკოლო სასწავლო გეგმა.

- სკოლის შინაგანაწესი.
- საფეხურის დაძლევის ბრძანება
- სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- ამორიცხვის ბრძანება;
- პედ. საბჭოს ოქმი საფეხურის დაძლევა;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა სსსმ მოსწავლეზე;
- მეორე უცხო ენა- მშობელთა კრების ოქმი;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით (N 2-165;21.06.23)დამტკიცებული ,,მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი‘‘. ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; დაწესებულების მიერ დამტკიცებული ,,მოსწავლის სასწავლო გარემოს ადაპტაციის წესი“ ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის დაწყების მომენტიდან მის სოციალიზაციას და ადაპტაციას, კერძოდ განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სკოლაში ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მეცადინეობები. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით - ვიზიტის დროს სკოლამ ინტერვიუთი დააზუსტა, რომ პირისპირ შეხვედრები იმართება ინდივიდუალურად). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; დაწესებულების წარმომადგენლის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს. სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო

წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში გააცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფსდამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სკოლაში არსებობს სხვადასხვა საშუალებებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სკოლამ განმარტა, რომ მომავალში იგეგმება სხვადასხვა ტიპის თვითშეფასების კითხვარების შემუშავება, რომელიც თავის მხრივ დაეხმარება მოსწავლეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი მიიღოს, რითაც კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსწავლეთა მომსახურება. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **სკოლის სოციალური ქსელის დათვალიერებით;**
- **სადამრიგებლო საქმიანობით;**
- **სასკოლო სასწავლო გეგმით.**
- **არაფორმალური აქტივობების ამსახველი დოკუმენტაციით.**

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი დამრიგებლების პორტფოლიოები ადასტურებს, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. აწყობენ ვიზიტებს სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში. დამრიგებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა უნივერსიტეტისა და პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ადგილზე მოსწავლეთა ვიზიტებს. სხვადასხვა უნივერსიტეტი და პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლები თანამშრომლობენ სკოლასთან და აწყობენ ღია კარის დღეებს სკოლის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა პროფესიების შეთავაზების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;** სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება, რომ სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლაში გეგმაზომიერად ეწყობა უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან ღია კარის დღეები და იმართება სამუშაო შეხვედრები კოლეჯთან. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.** ინტერვიუს შედეგით გამოვლინდა, რომ სკოლა გეგმავს მომსახურების ხრისხის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტიპის კვლევების ჩატარებას. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ინტერვიუს შედეგებით სკოლის წარმომადგენლებთან.

### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

**1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;** სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია , მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება.
სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას.
სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ ოთხჯერ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ,,რესურსოთახის გამოყენების და სარგებლობის პოლიტიკა’’( ბრძ. N 1117287;11.09.23) , რომლის მიზანია სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მიზნით, სივრცის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. ასევე სკოლაში ბრძანებით (ბრძ N 1118390;11.09.23)დამტკიცებულია ,, სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი’’, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლისთვის სერვისების მიწოდებას მისი ჩარიცხვის მომენტიდა სწავლის დასრულებამდე.**ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.**

**2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ.გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას.სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების

მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარებისხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურსოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები;
  - ,,რესურსოთახის გამოყენების და სარგებლობის პოლიტიკა'';
  - ,, სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი'',

***4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);** დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რომელიც განათლებისა და მეცნიერების ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება, სკოლაში ფუნქციონირებს როგორც ფასიანი ისე უფასო წრეები, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმით არის განსზღვრული: გახანგრძლივებულის,ბადმინტონის უფასო,ჭადრაკის უფასო,ტანვარჯიშის,ხატვის და მუსიკის წრეები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას, კერძოდ უფასო წრის პდაგოგთან დადებული იყო შრომითი ხელშეკრულება, რომელიც არ ითვალისწინებდა გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციას, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მიხედვით შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს ანაზღაურების მითითებაც, გამომდინარე იქედან, რომ სკოლა მოსწავლეებ სტავაზობს უფასო წრესდა პედაგოგს ანაზღაურება არ მიეცემა , ექსპერტები მხირდან გაიცა რეკომენდაცია, შრომითი ხელშეკრულება ჩანაცვლდეს მომსახურების გაწევის ხელშეკრულებით, სკოლამ აღნიშნული გაითვალისწინა და წარმოადგინა ვიზიტის ფარგლებში უფასო წრის მასწავლებლებთან დადებული მომსახურების გაწევის ხელშეკრულება. ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული წრეების ფუნქციონირების საკითხი და სკოლას შემთანხმებული ავს კოლეგიალურ ორგანოსთან აღნიშნული საკითხი ინდიკატორი **დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

**3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.** შესაბამისი საქმიანობის

განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

იჯარის ხელშეკრულებებით;
უფასო წრეების შექმნის ბრძანებით;
უფასო წრის მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის პროგრამა)** | ■ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია და ახორციელებს დაწყებით საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასკოლო კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით, დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა. სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, დაწყებით საფეხურზე იმართება შეხვედრები მშობლებთან კურიკულუმის შემუშავებისას მათი შეხედულებების, პრიორიტეტების და ინტერესების გამოკვეთა/გაზიარებისთვის. კათედრის წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან კურიკულუმების შემუშავების და დაგეგმვის პროცესში , ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და გამოცდილებას. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

**2.** სასკოლო საზოგადოების ინტერესები ჩანს კურიკულუმის თემატურ დაგეგმვაში, როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, კათედრის თითოეული წევრი უშუალო მონაწილეა კურიკულუმში საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ასახვის პროცესის;.კურიკულუმში გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.**

**3.** მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ ურთირთთანამშრობლობით. დაწყებითი საფეხურის კათედრის წევრები, ითვალისწინებემ ერთმანეთის აზრს და გამოცდილებას, იმართება შეხვედრები სადაც მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის კლასების სუსტ და ძლიერ მხარეებზე. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე პროცესებთან და შემუშავებულია მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და დირექციის ჩართულობით.**ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

**4.**კათედრებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაწერილი კომპლექსური დავალებების შინაარსი ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისათვის. სოციალურ ქსელში სკოლის ფეისბუქგვერდის, თიმსის და მესენჯერ ჯგუფების საშუალებით. მაგალითად საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, აკადემიური კალენდარი, ისგ, კომპლექსური ბარათები და ა.შ. კათედრა გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოს. აღნიშნული ჩარჩო განხილეს, რომლის მიხედვითაც და მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც კიდევ ერთხელ გადაიხედა სკოლაში განხორციელებული ვიზიტის დროს რჩევების მიცემის საფუძველზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**
- **მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;**
- **დამრიგებლების ოქმები**
- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. კომპლექსური დავალებები რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებელთან ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვს სამიზნე ცნებების, ქვე-ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხებისა და კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია,. მასწავლებლები იაზრებენ საგნის სწავლა-სწავლების ძირითად მიზნებს,.სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ სარეკომენდაციო ელქტრონულ რესურსებს; ნერგავენ კომპლექსურ დავალებებს. მუშაობენ კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების შესაბამისი მატრიცების შექმნაზე.

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები და ასევე, სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას.

სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოში მეტწილად გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე.

შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**რჩევა: მე-4 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის მე-2 თემაში დაზუსტდეს საკითხები.- ამასთან, წარმოდგენილ უცხოური ენის კურიკულუმებში მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოცემული ქვეცნებები, სასურველია უფრო დეტალურად გაიწეროს სამიზნე ცნებების შესაბამისი ქვეცნებები**

2.კურიკულუმები შემუშავებულია ზგემ-ზე ორიენტირებით, ე.ს.გ- იდან გამომდინარე, საგნის სტანდარტების მიხედვით, თვითოეული საგნის თემების ფარგლებში, სამიზნე ცნებების და მკვიდრ წარმოდგენებზე (გრძელვადიან მიზნებზე) დაფუძნებული კომპლექსური(შუალედური მიზნები) დავალებებით. კურიკულუმში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. გრძელვადიან მიზნად დასახულია 6 ფუნქციური უნარის განვითარება: 1. კრიტიკული აზროვნება, 2. შემოქმედებითობა, 3. კომუნიკაციის უნარის განვითარება, 4 თანამშრომლობითობა, 5. მოქალაქეობა, 6. ნებელობა ( ხასიათის ნებისყოფა). ამ მიზნების მისაღწევად სკოლა აქტიურად ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. ასევე სკოლაში იყენებენ არაფორმალური განათლების მეთოდებს. სამომავლოდ სკოლა აპირებს კომპლექსური დავალებების რაოდენობის გაზრდას. სკოლა აპირებს ამ პროცესების კიდევ უფრო მეტად დახვეწას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და

სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით.**ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

4.კათედრებს შექმნილი აქვთ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს.. ზეპირ და წერილობით კომენტარებს. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად გამოყენებისკენ. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან.**

**5.** მასწავლებლებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა , რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები აქტიურად არის ჩართული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პროცესში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. აღნიშნეს, რომ სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის საკმარისი გამოცდილება. პედაგოგებმა კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინეს წინა წელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზები, დაამატეს აქტივობები რომლებიც უკეთესად უწყობს ხელს ცოდნის კონსტრუირებას. პედაგოგებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას, ხდება წინარე ცოდნისა და გამოცდილების ანალიზი სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით . აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ , რომ დაწყებით საფეხურზე კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში მათ აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და **ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმი**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **2022-2023 წლის სკლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**

- **შეფასების რუბრიკები**

- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები**

- **სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი**

**მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**

**უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმები**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 **კურიკულუმის განხორციელება**

2.2.1.**სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო  პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, კონსტრუქტივისტული მიდგომებით, რესურსებით,   და სტრატეგიებით.  სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები,პროექტები, ოლიმპიადები.მაგ:  ინგლისური  ენის პედაგოგებმა ჩაატარეს ინგლისური ენის ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ V- XI  კლასის მოსწავლეები, სამი ტურის შემდეგ გამოვლენილ გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ  2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება პროექტები რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში  შინაგანი მოტივაციის ზრდას,  ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და გაიზრდება მათი აქტიურ ,შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.
**ინდიკატორი შეფასადა შესაბამისად**

2.საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში გათვალისწინებულია მე-3 თაობის ესგ-ს რეკომენდაციები.  დოკუმენტიდან გამოიკვეთა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დაასახელეს რამდენიმე მაგალითი  იმისა სწავლა-სწავლების პროცესში იყენებენ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო მეთოდს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნის საფუძველზე ახალი ცოდნის აგებას. კომპლექსური დავალებების პირობის ფორმულირების მნიშვნელოვანი პრინციპია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანონ, მაგ., კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევენ გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა სამეცნიერო თვალსაზრისით.  კომპიუტერული ტექნოლოგიების  ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება. მასწავლებლის მიერ  შერჩეული კომპლექსური დავალებები და ასევე, საგანმანათლებლო რესურსები ხელს შეუწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.კათედრების წევრებთან გასაუბრებისას აღინიშნა , რომ სწავლა-სწავლების პროცესში დიდ ყურადღებას ამახვილებენ სწავლის სწავლაზე. როგორც მათ აღნიშნეს, ისინი მოსწავლეებს აძლევენ არა მხოლოდ იმაზე ფიქრის საშუალებას თუ რა ისწავლონ, არამედ როგორ, რა ხერხები გამოიყენონ სწავლა-სწავლებისას, რათა შეძლონ საკუთარი სწავლის მართვა, დაგეგმვა და მონიტორინგი გაუწიონ მას. მაგალითად, კვირის ბოლოს შეაჯამონ რა გამოუვიდათ , რა გაიგეს კარგად. ამგვარად ხდება მეტა-კოგნიტური უნარების განვითარება. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

4.კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიის შეთავაზება.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს. შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით სწავლებისას მნიშვნელოვანია გააქტიურდეს როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. ვინაიდან, მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი ეფუძნება მე-3 თაობის ესგ-ს და ეროვნული სასწავლო გეგმა სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს პროექტული, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლეს უწევს, როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტის მოძებნა- შესაბამისად, დაგეგმილი კომპლექსური დავალებების დანერგვისას და პროექტების განხორციელებისას საჭირო იქნება ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5.მასწავლებლები სრულად აცნობიერებენ, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სპეციფიკა გაამარტივებს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. როგორც

თავად აღნიშნავენ, კომპლექსური პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება, ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ისინი არა მარტო განიხილავენ და ასაბუთებენ თავის მოსაზრებას, არამედ უშვებენ იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები**
- **განმსაზღვრელი და განმავიარებელი შეფასების რუბრიკები**
- **მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.**

**ოლიმპიადის ლინკი, რეფლექსია**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმეში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით და უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებში. მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნის გააქტიურებით მოხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.თვითშეფასების ფორმა, კურიკულუმები, გასაუბრების შედეგები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ხდება იდენტობის, საჭიროებების გათვალისწინება. გასაუბრების დროს მასწავლებლები საუბრობდნენ ისეთ პროექტებზე, რომელიც ემპათიური უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. მოსწავლეების მიერ პროდუქტის შექმნის პროცესი, თემების შინაარსიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. ასევე აღნიშნეს,რომ ხორციელდება არაერთი სოციალური და საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას უწყობს ხელს.. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები, პროექტები და სხვადასხვა აქტივობები ეხმარება მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში, ემოციების მართვაში. ასეთი მეთოდებით მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა, ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს.სადამრიგებლო პროგრამებში კლასის საათის თემატიკა ისეა შერჩეული რომ მოსწავლეების პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია. შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

3.სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ყოველდღიური პროცესების ნაწილია. პროექტები, არაფორმალური აქტივობები გამოკვეთს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რადგან გაამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენაზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე. შესაბამისად შედგენილია და წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან.**

4.. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა , რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. (თუმცა არ წარმოუდგენიათ შესაბამისი შეფასების რუბრიკები)მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ ზუსტად გაიაზრონ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.**ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

5..სკოლას შემუშავებული აქვს შიდა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი.რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწავლების პროცესის საყრდენს. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

6....სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლა ინახავს სასკოლო ჟურნალებს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, ასევე ექსტერნის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდების, წლის ბოლოს დანიშნული გამოცდების და ყველა სხვა შეფასებას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

· **საგნობრივი კურიკულუმები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**
- **სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა**
- **სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია**
- **სკოლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა**

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
1. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
2. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს რომ სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე. მასწავლებელთა გასაუბრებაზე აღინიშნა , რომ სკოლაში არის ნაყოფიერი სივრცე თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის დირექცია ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ რომ მიმდინარე სასწავლო წელს იგეგმება მშობლების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში. ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობით მისაღები გადაწყვეტილება. იგივე ხდება მასწავლებლებს შორის: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა

წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

.2. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს , რომლებიც წარმოდგენილია და გაწერილია კურიკულუმებში და მისი განუყოფელი ნაწილია, არაფორმალური განათლების ხელშემწყობ ღონისძიებებს, რომლის განხორციელებაში მაქსიმალურად არიან მოსწავლეები ჩართულნი თავისი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების და მიდრეკილების მიხედვით. მოსწავლე სწავლის პროცესის წარმმართველია. უდიდესი ყურადღება ენიჭება მოსწავლის ავტონომიურობას, მისი წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას.მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმზე მუშაობა.ეს პროცესები და დამოკიდებულებები წარმოადგენს სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებულად მიმდინარეობის დასტურს. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

3..სკოლაში არის თანამშრომლობითი ურთიერთობები. ხარისხის მართვის ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს აძლევს უკუკავშირს. შემუშავებული აქვთ გაკვეთილზე დასწრების ფორმა და უკუკავშირის ინსტრუმენტი. კათედრაზე წარმართულ ინტერვიუზე გამოჩნდა ურთიერთთანამშრომლობა და კომუნიკაცია კათედრის წევრებს შორის. აღინიშნა რომ სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლებს აქვთ მუდმივი კომუნიკაცია ერთმანეთთან , კათედრებზე ხდება მიმდინარე პროექტების ,განხორციელებული აქტივობების განხილვა და სამომავლო გეგმების დასახვა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, დაცულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებები და შექმნილია უსაფრთხო გარემო. ღონისძიებები გაწერილია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლას დაგეგმილი აქვს მრავალი აქტივობა და პროექტი რომელიც ხელს შეუწყობს სკოლის გუნდს წარმატების მიღწევაში. პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვის მიზნით სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, საჭიროების შესაბამისად ატარებს და მომავალშიც გეგმავს ჩაატაროს მოსწავლეთა , მშობელთა და მასწავლებეთა გამოკითხვები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სკლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **შეფასების რუბრიკები**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები**
- **სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი**
- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**

**ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმები**

**უკუკავშირის ინსტრუმენტი**

**გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა**

**მშობლის კითხვარი**

**კითხვარის ლინკი**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ასევე სხვა დოკუმენტები, რომლებშიც დასტურდება სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების ვალდებულება და ეს პროცესი მიმდინარეობს წინასწარ განსაზღრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სამუშაო პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული გეგმის მიხედვით. მასწავლებელთა რეფლექსიის საფუძველზე იკვეთება სუსტი და ძლიერი მხარეები, რის შემდეგაც იწყება იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს.

**შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოებს წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეების ფასდებიან მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხდება არა მხოლოდ გაკვეთილის პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, პროექტებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. ამის დასტურია სადამრიგებლო პროგრამა. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ჩატარდება შეთანხმებული ფორმატით, წარმოდგენილი ვადებით და შეფასების ინსტრუმენტებით. სკოლა აცნობიერებს მონიტორინგისა და შეფასების მიზანს_ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. კურიკულუმების შეფასების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ხელს უწყობს სკოლაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მასწავლებლების საჭიროებების გამოვლენასა და მხარდაჭერას. მათი

გათვალისწინებით შეიძლება გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. მაგალითად კურიკულუმში ცვლილებების შეტანა, კომპლექსური დავალებების მორგება კლასის ან კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებზე. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა

ხარისხის ჯგუფის ოქმები

უკუკავშირის ფორმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია კურიკულუმის განვითარება,რომლის განუყოფელი ნაწილია შეფასება. შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში მასწავლებლები იყენებენ განმავითარელი შეფასებს, იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შეფასებების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით; იმისთვის რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების სრულად გაზომვა, იგეგმება სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემაჯამებელისამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

3.. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შეფასებისას **დაწყებით** საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. ძირითადად განმავითარებელი შეფასება ხორციელდება. იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. მაგ: შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, შეფასებისთვის სკოლა ასევე იყენებს საკლასო და საშინაო დავალებებს, კომპლექსურ დავალებებს. ასევე იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმებს. სკოლის მეთოდოლოგიიდან ჩანს, რომ სკოლა

მომავალი სასწავლო წლისთვის უზრუნველყოფს მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და შეფასება. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცაა მოსწავლის ფსიქო-ემოციური და სოციალური ფონი, ასაკობრივი თავისებურებები, სადიაგნოსტიკო შეფასებები, ურთიერთანამშრომლობის, კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორები, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორები. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**
- **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- **განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.**

**ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1..სკოლას წარმოდგენილი აქვს, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთდოლოგია, რომელშიც განსაზღვრულია გადასინჯვისა და რევიზიის საკითხები. მიმდინარე სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღოდა განვლილი სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის და კათედრებზე შემუშავებული შემაჯამებელი ოქმების გაანალიზება, რომლის შედეგების საფუძველზე შეიქმნა სკოლის კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და მასწავლებელთა გასაუბრებით დგინდება, რომ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მთელი წლის განმავლობაში იგეგმება კათედრაზე კურიკულუმების განხილვა და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შესახებ შემდეგი მიმართულებების მიხედვით: 1) მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში; 2) მოსწავლეთა შედეგები; 3) მშობელთა ჩართულობა; 4) კათერდის მუშაობა; 5) სკოლის დირექცია. თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სამოქმედო გეგმის გასაახლებლად . **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

· **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**

· **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინტერვიუ მასწავლებლებთან**

**კათედრის ოქმები**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური საფუძვლების განხილვა და შემუშავების პროცესი ძირითადად გააქტიურებულია კათედრებზე, სასკოლო საზოგადოებისა და დირექციის ჩართულობით. დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა. სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ,რომ სასკოლო კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით,ხდება მშობლებისთვის ინფორმაციის გაზიარება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.** სასკოლო საზოგადოების ინტერესები ჩანს კურიკულუმის თემატურ დაგეგმვაში, როგორც კათედრაზე აღნიშნეს გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ კათედრის თითოეული წევრი უშუალო მონაწილეა კურიკულუმში საერთო ინტერესებისა და ღირებულებების ასახვის პროცესის. კურიკულუმში გაწერილია საინტერესო, არსებულ რეალობასა და მოსწავლეთა საჭიროებაზე გათვლილი კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც მოსწავლეთა შედეგებს გააუმჯობესებს და უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.**

3.. სკოლამ განახორციელა **საბაზო საფეხურის** კურიკულუმების შემუშავება სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით. შექმნილია მცირე სამუშაო ჯგუფი ადმინისტრაციის წარმომადგენლებით, მასწავლებლებით, მოსწავლეებით და მშობლებით, რომლებთა ინტერესები გათვალისწინებულია კურიკულუმების შექმნის პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაზე და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია დაყრდნობით, სკოლა მიაწვდის სასკოლო საზოგადოებას ინფორმაციას კურიკულუმის შემუშავებასა და განვითარების პროცესთან დაკავშირებით. სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება საკომუნიკაციო არხები, მშობელთა კრებები, მონაცემთა შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს რაც გათვალისწინებული იქნა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას , რომელზე დაყრდნობითაც დაიხვეწა საგნობრივი კურიკულუმები.**ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია**
- **მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები;**
- **დამრიგებლების ოქმები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა**

**1.1.3. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.შედგენილი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმის ჩარჩოებში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, განსაზღვრულია შუალედური მიზნები,მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შუალედური მიზნების განსაზღვრისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ სრული მზაობა აქვთ თემატური ერთეულები, ცალკეული დავალებები და აქტივობები მაქსიმალურად მოარგონ მოსწავლეთა შესაძლებლობებს. თვითშეფასების კითხვარშიც მითითებულია, რომ დაწყებით საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**
2.შექმნილი კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი მიზანებისკენ. სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს

საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები. კომპლექსური ტიპის დავალებები ისეა შედგენილი , რომ მოსწავლე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას კი შემქომედებითობა სჭირდება.კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგი და სამიზნე ცნებები. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

3. სკოლა მიმდინარე სასწავლო პროცესი სრულად მოიცავს სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების ფორმები, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული რესურსები, სკოლას შემუშავებული აქვთ სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური გეგმები, პედაგოგები მაქსიმალურად ცდილობენ შეიტანონ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებული ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებზე გათვლილი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც საშინაო, და მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. საბაზო საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ და განმსაზრვრელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები უცხოურ ენებში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს, ასევე, შექმნილი აქვთ რუბრიკები თითოეული კომპლექსური დავალებისთვის. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

5..კურიკულუმის დანერგვა ციკლური პროცესია და მუდმივად საჭიროებს მონიტორინგს, შეფასებას, რაც აუცილებლად ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და აგრეთვე კათედრის თავმჯდომარის ინტერვუიდან იკვეთება რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებულია მასწავლებლის საქმიანობის ანალიზის წარმოდგენა და რეფლექსიის საფუძველზე კეთდება უკუკავშირი, საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებს ეძლევათ რეკომენდაციები. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ახალი სასწავლო წლის კურიკულიმის გადამუშავებისას კი გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმი**
- **2022-2023 წლის სკლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **შეფასების რუბრიკები**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები**
- **სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი**
- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1..სკოლა, კომპლექსური დავალებების სასწავლო პროცესში აქტიურად გამოყენებით, მოსწავლეს აძლევს საშუალებას აქტიურ შემოქმედებით პროცესში იყოს ჩართული. საზოგადოებრივ კათედრასთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებმა თავიდანვე კარგად აუღეს ალღო ამ ტიპის დავალებებით მუშაობას. თუმცა, პირველ ეტაპზე არც ისე დახვეწილ პროდუქტებს ქმნიდნენ. მათ მოსწონთ კეთებით სწავლება და ისიც რომ შეუძლიათ კორექცია შეიტანონ თავიანთ პროდუქტში: უფრო დახვეწონ და გააუმჯობესონ. აქვთ უფრო მეტი ინტერესი და მოტივაცია. კომპლექსურ დავალებებზე ძირითადად მუშაობენ სასკოლო გარემოში. სკოლაში სწავლებისას აქტიურად გამოიყენება კონსტრუქტივისტული მიდგომები. კეთებით სწავლება ყოველთვის იყო მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება.  იზრდება მოსწავლის აქტივობა, თანდათანობით ვითარდება მოსწავლეზე ორიენტირებული აქტიური შემოქმედებითი სასწავლო პროცესი, განსაკუთრებით მოსწონთ განმავითარებელი შეფასებები, მოტივაცია უმაღლდებათ. მასწავლებლები აკვირდებიან ამ პროცესს, გამოავლენენ და ხელს უწყობენ მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარებს განვითარებას. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ანხორციელებენ პროექტებს პრიორიტეტულ თემებზე. აღნიშნული ინფორმაციის შესახებ მტკიცებულებები წარმოდგენილია დოკუმენტაციაში (პროექტის გეგმები) და გამოიკვეთა ინტერვიუს დროს.  მომავალში სკოლა უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს არაფორმარული სწავლების მეთოდების გამოყენებას და მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურებას, წახალისებული იქნება საუკეთესო ინიციატივები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების  ფარგლებში სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით; მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესს წარმართავენ მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობითი. ისინი მოსწავლეებისათვის გეგმავენ ისეთ საგაკვეთილო აქტივობებს,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლითაც მოსწავლე შეძლებს ძველი და ახალი ინფორმაციის გააზრებას, არსებულ ცოდნას დაუკავშირებს ახალს. ჩარჩო კურიკულუმში გაწერილი კომპლექსური დავალებების კონტექსტ მაგალითები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი. საბაზოსაფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების:ფიზიკის ,ქიმიის, ბიოლოგიის სწავლა სწავლების პროცესში ნათლად იკვეთება,რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით და **ინდიკატორთან შესაბამისობა დასტურდება.**

3. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ მაგალითები, აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას, სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მასწავლებელი ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეს შემეცნების დაგეგმვასა და მონიტორინგში. **ინდიკატორთან მიმართებაში შესაბამისობაშია.**

4. სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პედაგოგების მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესი, სამივე საფეხურზე. მათ შორის კურიკულუმის ჩარჩო ცხრილები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუერების პროცესი, საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეები სწავლობენ თეორიულ მასალას, რომელსაც იყენებენ პრაქტიკულ საქმიანობაში პროდუქტის შექმნისას. სკოლა აძლევს მოსწავლეებს მრავალფეროვან პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობის შესაძლებლობას. პოსტერების, მაკეტების, კომიქსების, ბუკლეტების, სტატიების, გრაფიკული ორგანიზატორების და ა. შ. შექმნა. ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება განსაკუთრებულად აქტიურად მიმდინარეობს ასევე ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების დროს, რამდენიმე საგნის ინტეგრირებისას. ერთ საგანში მიღებული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენება სხვა საგნებშიც. ამ პროცესების დახვეწას გეგმავს სკოლა სამომავლოდ:ელექტრონული რესურსის კიდევ უფრო აქტიურად გამოყენებას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.მასწავლებელთა გასაუბრებიდან , თვითშეფასების დოკუმენტიდან, საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა სასკოლო პროექტები ისეა აგებული, რომ მოსწავლემ გააერთიანოს ყველა ის უნარი და ცოდნა, რაც მას გამოადგება პრობლემის გადაჭრისას. იგეგმება სამომავლოდ იმ უნარების განვითარება, რომელიც მნიშვნელოვნად საჭიროა გამოწვევებთან გამკლავებისას და პროდუქტის შექმნისას, ცოდნის ინსტრუმენტად გარდაქმნისთვის.2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება მოსწავლეების ჩართვა სხვადასხვა პროექტებსა და ოლიმპიადებში და გამარჯვებული მოსწავლეების წახალისება. საბაზო საფეხურზე პედაგოგები გეგმავენ მოსწავლეების მონაწილეობით შექმნან სასწავლო რესურსები, მათ შორის დამხმარე სახელმძღვანელო. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები**
- **განმსაზღვრელი და განმავიარებელი შეფასების რუბრიკები**
- **მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან, კათედრის ოქმებიდან, მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს რომ უცხოური ენების კათედრა აქტიურად მუშაობს საგნობრივი კურიკულუმების შექმნაზე და კომპლექსური დავალებების დაგეგმვაზე. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, საკითხები ისეა შერჩეული რომ შესაძლებელია თემის დამუშავება, ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეა . თუმცა ყველგან არ ჩანს შესაფერისი კავშირი , სამიზნე ცნებას, ქვეცნებას , საგნობრივ საკითხებს და რესურსებს შორის. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

2.საზოგადოებრივი მეცნიერებები-2 სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები თეორიული, პრაქტიკული, კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, აგრეთვე მოსწავლეების მიერ პროდუქტის შექმნის პროცესი, თემების შინაარსიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები, მასწავლებლის რჩევები და განმავითარებელი შეფასება ერთგვარ დამხმარე რგოლს, სკაფოლდინგის სისტემას ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. ასევე აღნიშნეს,რომ ხორციელდება არაერთი სოციალური და საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც მოსწავლეების ემოციურ გააქტიურებას უწყობს ხელს.. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებები, პროექტები და სხვადასხვა აქტივობები ეხმარება მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში, ემოციების მართვაში. ასეთი მეთოდებით მოსწავლეებს უყალიბდებათ ღირებულებათა სისტემა, ეჩვევიან გუნდურ მუშაობას, ამყარებენ პოზიტიურ ურთიერთობებს.სადამრიგებლო პროგრამებში კლასის საათის თემატიკა ისეა შერჩეული რომ მოსწავლეების პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა იყენებს ორი ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელს და განმავითარებელს. შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო აქტივობების განუყოფელი ნაწილია. 2023-2024 წლის სასკოლო გეგმაში წარმოდგენილია სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან მიმართებაში. სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა. სკოლას დაგეგმილი აქვს სკოლის დონეზე სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად პირველი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტი. მონაცემების დამუშავება მოხდება ყოველი მოსწავლის განმავითარებელი შეფასების რუბრიკის მაგალითზე თემების მიხედვით კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ დავალებას, სადაც ფასდება მოსწავლის ცოდნა სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ასევე ასახავს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარაციული ცოდნიდან პირობისულ ცოდნამდე. ატვირთულ დოკუმენტებში წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას.**ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება შესაბამისობა.**

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიდან და მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა , რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი.გასაუბრებაზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების კარგი გამოცდილება აქვთ, რა დროსაც მოსწავლეები უფრო სიღრმისეულად და პასუხისმგებლიანად იაზრებენ შეფასების კრიტერიუმებს და უჩნდებათ თანამონაწილეობის, სამართლიანობის განცდა. მასწავლებლები მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს, რაც ეხმარება მათ ზუსტად გაიაზრონ რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა.საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ მათ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, მოსწავლეებს აცნობენ თუ როგორ შეფასდება მათი შედეგები. საგნის შეფასების სისტემის ვალიდურია, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სამომავლოდ სკოლა აპირებს უფრო მეტად დახვეწოს შეფასების სისტემა .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქციის დოკუმენტი სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს.მასში დეტალურადაა გაწერილი: შეფასების (ვერიფიკაციის) მექანიზმი, ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი პირები და პროცედურები.სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს შემდეგი გზით: ა)შემფასებლის მხარდაჭერა და დახმარება უწყვეტი განვითარებისათვის; ბ) შეფასების მონიტორინგი; გ)მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილია: ვერიფიკაციის მიზანი;ვერიფიკაციის ჩარჩო;მოსწავლის შეფასება; ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განმახორციელებეი პირები, ვერიფიკაციის ანგარიში, ვერიფიკაციის შედეგები.**ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება შესაბამისობა.**

6.სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ სკოლაში დაცულია დოკუმენტის წარმოებასთან და მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები.**ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **საგნობრივი კურიკულუმები**
- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**
- **სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა**
- **სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია**
- **სკოლის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **კათედრის ოქმები**
- **დამრიგებლის ოქმი**

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში ჩანს რომ სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე. მასწავლებელთა გასაუბრებაზე აღინიშნა , რომ სკოლაში არის ნაყოფიერი სივრცე თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციისთვის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის დირექცია ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში. სოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ვკითხულობთ რომ მიმდინარე სასწავლო წელს იგეგმება მშობლების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებში. წახალისებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის იდეები და პროექტები მაგ : პროექტი „ მსოფლიო თამბაქოს გარეშე“, დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, ინტელექტუალური თამაში „ რა, სად, როდის“. ნებისმიერი პრობლემა და გამოწვევა განიხილება როგორც გაზიარებული პასუხისმგებლობით მისაღები გადაწყვეტილება. იგივე ხდება მასწავლებლებს შორის: თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა წამყვანი პრიორიტეტებია მათი საქმიანობის პროცესში. ისინი სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწვალეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად.**

2. სკოლაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის დროს, სწავლის პროცესში ყოველთვის გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინიციატივები, მაგალითად დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, ასევე ინტელექტუალური თამაში ,,რა, სად, როდის, მოსწავლეები თავიანთი ინიციატივით ჩართულები არიან თანატოლ-განმანათლებლობის აქტივობებში(საბაზო-საშუალო საფეხური), სკოლაში არსებოს სხვადასხვა საგნობრივი კლუბები, რომელიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, სხვადასხვა პროექტებში ჩართვას და მათი მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესში კათედრის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ სასკოლო საზოგადებასთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს გამოცდილების გაზიარებაზე, სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულნი არიან სასწავლო პროცესში შემოთავაზებული ინოვაციების, ახალი მეთოდების დანერგვის შესახებ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტში, გაწერილია სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება და სადამრიგებლო პროგრამების ეფექტურად შესრულების ხელშეწყობა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით

გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების შეთავაზება; დოკუმენტში გაწერილი აქტივობები მიმართულია სასწავლო პროცესის, თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის ხელშესაწყობად. **ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება შესაბამისობა**

4.სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ, რომ დაცულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა უფლებები და შექმნილია პოზიტიური და უსაფრთხო გარემო სკოლაში. სკოლაში პოზიტიური კლიმატის ჩამოყალიბებას განაპირობებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, საჭიროების შესაბამისად ატარებს და მომავალშიც გეგმავს ჩაატაროს მოსწავლეთა , მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **სკლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **შეფასების რუბრიკები**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმები**
- **სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი**
- **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**

**ხარისხის ჯგუფის ოქმები**

**უკუკავშირის ინსტრუმენტი**

**გაკვეთილზე დასწრების ფორმა**

**კითხვარის ლინკები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**სამოქალაქო განათლების კლუბის და თვითმმართველობის აქტივობები**

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.. კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის ნაწილია. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გათვალისწინებულია კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი. ასევე, გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებასა და დანერგვაში ჩართულია საბაზო საფეხურის ყველა პედაგოგი. მიმდინარე წლის სამუშაო პროცესის შეფასებისთვის და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესების მიზნით მასწავლებლები აგრეთვე იყენებენ თვითრეფრლექსიებს, თვითშეფასებებს, მოსწავლეებზე მიცემულ უკუკავშირებს, სხვადასხვა ტიპის კითხვარს მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ემსახურება სასკოლო საზოგადოებს წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მოსწავლეების ფასდებიან მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება ხდება არა მხოლოდ გაკვეთილის პროცესში, არამედ სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებში, მაგალითად, პროექტებში.სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერასა და დახმარებას. მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას. ამიტომ თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

3. სკოლას გაცნობიერებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას გააქტიურების პროცესის დახვეწის მექანიზმების საჭიროება. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის და შეფასების პროცესში მიღებული ინფორმაციის, აგრეთვე სადიაგნოსტიკო კვლევაზე დაფუძნებული ანალიზის შედეგების და საჭიროებების საფუძველზე დაადგინოს კურიკულუმების ძლიერ და სუსტ მხარეები. მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა საბაზო საფეხურზე გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვას, მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება პრობლემების იდენტიფიცირება და მათი მოგვარების გზების დასახვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**
- **სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა**

**ხარისხის ჯგუფის ოქმები**

**გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა**

**უკუკავშირის ინსტრუმენტი**

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია კურიკულუმის განვითარება,რომლის განუყოფელი ნაწილია შეფასება. შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტურ ხასიათს. სკოლაში მასწავლებლები იყენებენ განმავითარელი შეფასებს, იციან როგორ გამოიყენონ შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემები სწავლისა და სწავლების

გასაუმჯობესებლად. თითოეული მასწავლებელი ცდილობს შეფასებების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. მოსწავლეები ეტაპობრივად იღებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა წინსვლაზე, გამოკვეთს მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით; იმისთვის რომ სტანდარტის შედეგების მიხედვით მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების სრულად გაზომვა, იგეგმება სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, კერძოდ, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სტანდარტზე დაფუძნებით. ინტერვიუს დროს მასწავლებლები საუბრობენ იმის შესახებ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. ინტერვიუდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, შემაჯამებელი სამუშაოები, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტები ან პრეზენტაციები. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

3. . შეფასებისას მონაცემთა შეგროვების გზად სახელდება სადიაგნოსტიკო ტესტები. გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში). იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობენ კომპლექსურად. მოსწავლის დაფიქსირებული შედეგის გაუმჯობესების მიზნით, მშობლის მიმართვიანობის შემდეგ, ინიშნება საგნის გამოცდა. **ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია**

4.ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთო რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეფასების განხორციელება მოახდინოს მაგ: მოსწავლეთა საჭიროებები, რესურსები, დროის ლიმიტის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.2023-24 წელს იგეგმება სადიაგნოსტიკო შეფასების განხორციელებაც. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

· კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

· განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

· ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**

**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. . სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრები მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილ კურიკულუმებში მოახდენენ ცვლილების შეტანას მას შემდეგ, რაც განახორციელებენ კომპლექსურ დავალებებს და გამოკვეთილი ტიპიური პრობლემების აღმოფხვრის გზებს დასახავენ. კათედრების წევრებმა აღნიშნეს, რომ

კათედრებზე მუდმივად განიხილავენ ჩატარებულ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, რის საფუძველზეც მოახდენენ დიაგნოსტირებას და შემდეგ კურიკულუმში ასახავენ დაგეგმილ ცვლილებას. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**
2. საგნობრივი კურიკულუმებებიდან და მასწავლებელთა გასაუბრებიდან იკვეთება, რომ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ მთელი წლის განმავლობაში იგეგმება კათედრაზე კურიკულუმების განხილვა და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია ინფორმაცია სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზების შესახებ შემდეგი მიმართულებების მიხედვით: თითოეულ საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. მიღებული გამოცდილება გათვალისწინებულ იქნება ახალ სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავების პროცესში, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- კათედრის ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)** | **■ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგონა დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლის განხილვის შედეგად ვასკვნით, რომ მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. წარმოდგენილია მეთოდოლოგია და პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის შემუშავება, განვითარება და რეალიზება სასწავლო პროცესში. სასკოლო საზოგადოება ერთობლივად, თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, ღებულობს მონაწილეობას სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში და ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებაში, რათა კურიკულუმის შემუშავების და განვითარების პროცესში გაითვალისწინონ მიღებული გამოცდილება . ამის საშუალებას ნამდვილად აძლევს კურიკულუმოს შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლას აქვს წარმოდგენილი. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

2. წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში და გვხვდება ჩანაწერი რომელიც გულისხმობს, აქტიურ თანამშრომლობას მოსწავლეებთან, მათი საჭიროებების დადგენას; მშობელთა ინფორმირებულობას სკოლის მისიის, სასკოლო კურიკულუმის, საგნობრივი მიმართულებების მიხედვით, მათთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და უკუკავშირს, რამდენად შეძლეს სკოლის კურიკულუმების საკუთარ პრიორიტეტებთან თანხვედრის დანახვა; კათედრების ინფორმირებულობას სიახლეებით და მათ ჩართვას სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში; დირექციის როლის გამოკვეთას სასკოლო საზოგადოების ჩართულობაში. პროექტული სწავლების შემთხვევაში, პროდუქტი რომელიც იქმნება, შესაძლებელია იყოს ბუკლეტი, გაზეთი, დოკუმენტური ფილმი, კონფერენცია და ა.შ. რისი გაზიარების საშუალებაც აქვს სკოლას სოციალური გვერდის საშუალებით. ასევე, შეიძლება, უფრო მასშტაბური სახე მიეცეს პროექტის წარდგენას და სასკოლო საზოგადოების წევრები და მოწვეული სტუმრები დაესწრნონ პროექტის პროდუქტის პრეზენტაციას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ გუნდური ძალისხმევით, გააზრებული და გაზიარებული პასუხისმგებლობით. ასევე, შექმნილია მცირე სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრების, მათ შორის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით და მასწავლებლებთან გასაუბრებითაც დასტურდება, რომ განსაზღვრულია მათი ფუნქციები, პასუხისმგებლობები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში.**შესაბამისობაშია ინდიკატორთან.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ითვალისწინებს საზოგადოების სურვილებს და ინტერესებს. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ , რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენებენ შემდეგ საკომუნიკაციო არხებს : სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი ვებგვერდზე, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.**ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები
- დამრიგებლების ოქმები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

უცხოური ენების კათედრის ოქმები

საგნობრივი კურიკულუმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**1.1.4. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ ატვირთული საშუალო საფეხურის დოკუმენტაციიდან ირკვევამ რომ კომპლექსური დავალებები განიხილება როგორც შუალედური სასწავლო მიზანი. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“, აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება.საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლები გაეცნენ საგნობრივი ქოუჩების მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს, განიხილეს ჩარჩოს შემადგენელი ნაწილები: მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები, კომპლექსური დავალების პირობები, კონტექსტმაგალითები, საკვანძო შეკითხვები და მოხდა სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმების პირველადი ვერსიების შედგენა. პირველადი ვერსიები დაიხვეწა, მოერგო კლასის საჭიროებებს. საშუალო საფეხურის ფიზიკის,ქიმიის და ბიოლოგიის საგნის ატვირთულ ჩარჩო კურიკულუმებში ყველა თემაში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები. ფიზიკის მე-10 კლასის ჩარჩო კურიკულუმში დასაზუსტებელია ქვეცნებები ზოგიერთ ცნებებთან და შესაბამის საკითხთა კლასტერთან მიმართებით. ატვირთული მასალებიდან ირკვევა,რომ ფიზკის საგნის საბაზო საფეხურის კურიკულუმი მდიდარია სასწავლო რესურსებით ყველა თემაში ყველა კლასტერთან მიმართებაში, სასურველია ქიმიის მე-10 კლასის ჩარჩო კურიკულუმეში ზოგიერთი თემები და შესაბამისი კლასტერები შეივსოს რესურსებით , ბიოლოგიის მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმს დაემატოს რესურსები, რომლებიც შექმნილია კათედრის მასწავლებლების მიერ, განთავსებულია კათერდის თიმსის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის ფოლდერებში და გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში. ინტერვიუს დროს და ვიზიტისას გამოიკვეთა რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენება სასკოლო ლაბორატორია, მასწავლებლები ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს, მოსწავლეები ქმნიან პროდუქტს, კურიკულუმებში გაწერილი რესურსები და მეთოდები გათვლილია მოსწავლეების საჭიროებებზე და მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისკენ. ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. კომპლექსური ტიპის დავალებები, განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. **ინდიკატორთან მიმართებით დადგინდეს შესაბამისობა**

**რჩევა: ბიოლოგიის მე-10 და მე-11 კლ.და ქიმიის მე-10 კლ. საგნობრივ კურიკულუმები გამდიდრდეს შესაბამისი რესურსებით, რომლებიც განთავსებულია კათედრის თიმსის ჯგუფის ფოლდერებში. ფიზიკის საგნის მე-10 კლ.კურიკულუმში დაზუსტდეს ქვეცნებები ზოგიერთ ცნებებთან და შესაბამის საკითხთა კლასტერთან მიმართებით.**

2. საგნობრივ სტანდარტების, მეთოდური ორიენტირების მოთხოვნების მიხედვით კურიკულუმებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები . ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანეთთან, რაც გამოიხატება კურიკულუმებში წარმოდგენილი ქვესაკითხების, ქვეცნებების და სამიზნე ცნებებით სახით. მოცემულია გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით საკითხთა კლასტერი, კონტექსტმაგალითები, რომლებშიც მუშავდება სამიზნე ცნებები. ამავე დროს ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, მოქალაქეობრივი , ნებელობის უნარები.
კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც დადასტურდა, რომ მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლაში არა მარტო ფორმალურ , არამედ არაფორმალურ განათლებასაც, აღნიშნავენ რომ არაფორმალური განათლება, სხვადასხვა პროექტი მაქსიმალურად უწყობს ხელს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას და გლობალური ფუნციური უნარების განვითარებას მოსწავლეებში. აღნიშნეს უკვე განხორციელებული პროექტების შესახებ. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

3. სკოლა, სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს , თვითეული მოსწავლის საჭიროებებს, უნარებს შექმნილი აქვს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს.. ზეპირ და წერილობით კომენტარებს.განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად გამოყენებისკენ. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან.** და შესაძლებლობებს. კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი მორგებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. მასწავლებლების მიერ გეგმაში გაწერილია სხვადასხვა ბავშვის შესაძლებლობისა და საჭიროების მოთხოვნების შესაბამისი მატრიცები. სამივე საფეხურზე სკოლას, სსსმ მოსწავლეებისათვის შედგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები , სადაც გამარტივებული და ადვილად მისაღწევი მოკლევადიანი, შუალედური და გრძელვადიანი მიზნებია გაწერილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. საგნობივ კათედრებს შექმნილი აქვთ როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს.. ზეპირ და წერილობით კომენტარებს.განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად გამოყენებისკენ. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც დასტურდება იმით , რომ სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას , გამოწვევებს. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული და რევიზირებული კურიკულუმი. კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. ეს პროცესი გაწერილია წარმოდგენილ დოკუმენტებში. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2022-2023 წლის სკლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის ოქმები

უსაგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში სასწავლო პროცესში გათვალისწინებული სწავლა-სწავლების პრინციპები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორიენტირებას მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემების გადაჭრის გზით. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, კონსტრუქტივისტული მიდგომებით,

რესურსებით, და სტრატეგიებით. სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, პროექტები, ოლიმპიადები. მაგ: ინგლისური ენის პედაგოგებმა ჩაატარეს ინგლისური ენის ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ V- XI კლასის მოსწავლეები, სამი ტურის შემდეგ გამოვლენილ გამარჯვებულებს გადაეცათ სერტიფიკატები. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება პროექტები რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას , ასევე მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის ზრდას, ჩამოუყალიბდებათ პოზიტიური დამოკიდებულებები და გაიზრდება მათი აქტიურ ,შემოქმედებით პროცესში ჩართულობა.

**ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული , ასევე უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების, პროექტების წარმატებით განხორციელება და ახალი ცოდნის მიღება წინარე ცოდნის გათვალისწინების , გამოცდილების გარეშე ვერ მოხერხდება. შესაბამისად, სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე . მასალებიდან ჩანს და მასწავლებლებიც ადასტურებენ, რომ მოსწავლეებს ეძლევათ თემატური საკვანძო შეკითხვები, სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი, რომლებიც იწვევს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას, ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, პროვოცირებას ახალი ცოდნის შესაძენად. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ მიდგომებს. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

3. სასწავლო პროცესში სკოლა აქცენტს კეთდებს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე: ხდება მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. უზრუნველყოფილია საგანთაშორისი კავშირი სასწავლო გეგმის განხორციელებისას, სწავლებისა და შეფასების პროცესში. პროდუქტის შექმნისას მოსწავლეს ვაძლევთ საშუალებას მოახდინოს თავისი სამუშაოს რეფლექსია: რა გამოუვიდა კარგად, რა უნარები დაეხმარა, რა გაუჭირდა და რისი დახვეწა სჭირდება სამომავლოდ. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პედაგოგების მიერ გამოყენებული რესურსები მრავალფეროვანია( რაც ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში/კურიკულუმებში), რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების და ფიზიკური თვისებების გამოვლენას. მოსწავლეები ჩართული არიან მრავალფეროვანი აქტივობებში. სკოლა კიდევ აპირებს ურთიერთდახმარების მექანიზმის დახვეწას, იმისათვის რომ მოსწავლის ხედვა, სწავლის სტრატეგიები კიდევ უფრო გაუმჯობესდეს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. . ინტერვიუდან და პორთფოლიოებში წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული), რაც კარგად არის ასახული საგნობრივ პროგრამებში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტული სწავლების გეგმებსა და არაფორმალურ აქტივობებში. ორიენტირება ცოდნის სამივე კატეგორიაზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში საკითხის გააზრებას, არსობრივ წვდომასა და სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**5. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების ჩარჩო კურიკულუმებში განსაზღვრულია სასწავლო მიზნები, თემები/საკითხები/ კომპლექსური დავალებები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ნაცნობ კონტექტებზე დაყრდნობით ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაზრდას, ხდება მიღებული ინფორმაციის დამუშავება და გარდაქმნა ცოდნად. მოსწავლეები ეტაპობრივად იძენენ ახალ ცოდნას, რომლის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. შედეგად, მოსწავლეები შეძლებენ ინფორმაციის მიღებას, გააზრებას და მის საჭიროებისამებრ გამოყენებას.**ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება შესაბამისობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

· **საგნობრივი კურიკულუმები**

· **განმსაზღვრელი და განმავიარებელი შეფასების რუბრიკები**

**მასწავლებელთან გასაუბრების შედეგები.**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. . მასწავლებლების პორტფოლიოებში, კურიკულუმის ჩარჩოებში და ინტერვიურებიდან გამოჩნდა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; განსაკუთრებით ესთეტიკური საგნის კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია, თუ რა მიზანს ემსახურება და რა შედეგზეა ორიენტირებული მითითებული საგნის საკითხების შესწავლა. სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლაში სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები თეორიული, პრაქტიკული, .კურიკულუმებში გაწერილ თემებზე დართული ელექტრონული რესურსები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სახის აქტივობებს, მათ შორის მოსწავლეების მიერ დაგეგმილი პროექტების განხორციელებას, სასწავლო რესურსების შექმნას თემების შინაარსიდან გამომდინარე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასება ყოველდღიური პროცესების ნაწილია. პროექტები, არაფორმალური აქტივობები გამოკვეთს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რადგან გაამახვილებულია ყურადღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენაზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე. შესაბამისად შედგენილია და წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი-რასაც ადასტურებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდებიან და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება. სასურველია, პედაგოგებმა შეიმუშაონ კონკრეტული პროექტული სწავლების შესაფერისი შეფასების რუბრიკები, თუნდაც სახელმძღვანელოს შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ასახავს რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. აგრეთვე შეფასების მონიტორინგს და ობიექტურობას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ჯგუფი.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

6. პროექტული სწავლების განხორციელებული პროდუქტები, როგორც მტკიცებულება, ინახება მოსწავლის სამართლებრივი აქტის საფუძველზე მომდევნო კლასში გადასვლამდე. მიმდინარე სასწავლო წლის პროექტული სწავლების განმავითარებელი შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში. სასურველია, შესრულებული პროექტის პროდუქტი (მაგ: ბუკლეტი, საკონფერენციო მოხსენებები, სტატიები და ა.შ.), პროექტის გეგმა და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეინახოს სკოლამ ყველა სამართლებრივი წესის დაცვით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი

შეფასების რუბრიკები

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში დამკვიდრებულია კოლეგიალური თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რაც მდგომარეობს პედაგოგთა მიერ საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებაში, საგნობრივ კათედრათა მჭიდრო კავშირსა და ცალკეულ საკითხებზე ერთობლივ მუშაობაში. პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საჭიროების შემთხვევაში ურთიერთდახმარებისთვის მზადყოფნა სასკოლო ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. პედაგოგებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, ურთიერთდასწრებას მათ სკოლაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, შემდეგ წერენ ანგარიშს და პრობლემებს განიხილავენ კათედრაზე.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს , რომლებიც წარმოდგენილია და გაწერილია კურიკულუმებში და მისი განუყოფელი ნაწილია, არაფორმალური განათლების ხელშემწყობ ღონისძიებებს, რომლის განხორციელებაში მაქსიმალურად არიან მოსწავლეები ჩართულნი თავისი ინტერესების, შესაძლებლობების, უნარების და მიდრეკილების მიხედვით. მოსწავლე სწავლის პროცესის წარმმართველია. უდიდესი ყურადღება ენიჭება მოსწავლის ავტონომიურობას, მისი წინარე გამოცდილებას და თვითრეგულაციას.მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება სასკოლო კურიკულუმზე მუშაობა.ეს პროცესები და დამოკიდებულებები წარმოადგენს სასწავლო პროცესში მოსწავლეზე ორიენტირებულად მიმდინარეობის დასტურს. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

3. თანამშრომლობითი კულტურის მაგალითია „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტის არსებობა სკოლაში, რის საშუალებითაც კათედრის წევრები ესწრებიან და აფასებენ კოლეგების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს. პროცესის დასრულებისას კი ხდება გაკვეთილის გარჩევა და საჭიროების შემთხვევაში რჩევების მიცემა- რასაც ადასტურებს მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დასწრების ვერიფიკაციის დოკუმენტი და რაზეც ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში.
**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლაში დაცულია მოსწავლეთა და მასწავლებელთა უსაფრთხოება, სასკოლო საზოგადოება ზრუნავს ჯანსაღი სასკოლო კლიმატის შენარჩუნებაზე. თანამშრომლებს, მშობლებსა და პედაგოგებს შორის კეთილგანწყობილი და მეგობრული ატმოსფეროა ჩამოყალიბებული. განმავითარებელ კომენტარებში მასწავლებლები ჯერ აღნიშნავენ მოსწავლეების ძლიერი და დადებით მხარეებს და შემდეგ გამოსასწორებელ ნაწილს. მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე იყოს დაფასებული, აღიარებული. სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სასკოლო გარემო არის პოზიტიური. სასკოლო საზოგადოება ცდილობს სკოლაში არსებული პრობლემები დაძლიოს კონსტრუქციულად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

ხარისხის ჯგუფის ოქმები

საგნობრივი კურიკულუმები

გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

უკუკავშირის ინსტრუმენტი

მშობლის კითხვარი

კითხვარის ლინკი

სამოქალაქო კლუბის და თვითმმართველობის აქტივობები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ასევე სხვა დოკუმენტებშიც, რომლებშიც დასტურდება სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების ვალდებულება და ეს პროცესი მიმდინარეობს წინასწარ განსაზღრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სამუშაო პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული გეგმის მიხედვით. მასწავლებელთა რეფლექსიის საფუძველზე იკვეთება სუსტი და ძლიერი მხარეები, რის შემდეგაც იწყება იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს.
**შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

2. თვითშეფასების კითხვარიდან და ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმებიდან ირკვევა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისათვის შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ესწრება მასწავლებელთა პროფესიული და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში ჩატარებულ გაკვეთილებს. ჩატარებული გაკვეთილების ანალიზის შედეგად ახდენენ არსებული ხარვეზების გამოვლენას და სამომავლო გეგმების დასახვას. მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეხმარება მუშაობის გაუმჯობესებაში, მომავლის დაგეგმვაში და ახალი შესაძლებლობების შეფასებაში. **ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლას და კათედრას აქვს შერჩეული სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი (დიაგნოსტიკის პირველი ინსტრუმენტი), სადიაგნოსტიკო წერის შემდგომ, მონაცემების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე,მოხდება პრობლემის იდენტიფიცირება, შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის მასწავლებლებთან ერთად დაგეგმავს პრობლემის მოგვარების გზას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება შესაბამისობა**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

· **მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.**

· **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**

· **სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**

· **სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითრების გეგმა**

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კათედრების წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასებას ახორციელებენ როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებით,.შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული თვითშეფასების და თანატოლთა შეფასების პროცესში( თუმცა არ წარმოუდგენიათ მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთ შეფასების რუბრიკები). საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნებისთვის შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. 2023-2024 სასწავლო წელს უცხოური ენების კათედრა გეგმავს ჩაატაროს სადიაგნოსტიკო შეფასება საშუალო საფეხურზე, სემესტრში ორჯერ. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

2. მოსწავლის საჭიროებების სრულყოფილად დასადგენად, მასწავლებელი განიხილავს ყველა იმ კონტექსტს რომელიც შესაძლოა ხელს უწყობს/უშლის მოსწავლის მიღწევებს. ეს შეიძლება იყოს სახლი, სასკოლო და სათამაშო სივრცე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევას, რომლის საშუალებითაც დადგინდება რამდენად ეფექტურია მის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით. **ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება შესაბამისობა.**

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების გზად სახელდება სადიაგნოსტიკო ტესტები. გამოვლენილი პრობლემების აღმოსაფხვრელად დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები (საჭიროების შემთხვევაში). იდენტიფიცირებული პრობლემის აღმოფხვრაზე მუშობენ კომპლექსურად. მოსწავლის დაფიქსირებული შედეგის გაუმჯობესების მიზნით, მშობლის მიმართვიანობის შემდეგ, ინიშნება საგნის გამოცდა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
4. ინტერვიუზე დაყრდნობით შეფასებისას შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცაა მოსწავლის ფსიქო-ემოციური და სოციალური ფონი, ასაკობრივი თავისებურებები, სადიაგნოსტიკო შეფასებები, ურთიერთანამშრომლობის, კოგნიტური და მეტაკოგნიტური ფაქტორები, შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ფაქტორები. **შესაბამისობაშია ინდიკატორთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

· მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

· კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

· განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

· ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. 2023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში კათედრების მიერ მიწოდებული მასალების, ანგარიშების, რეფლექსიების, მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით სკოლა გამოკვეთს ძლიერ და სუსტ მხარეებს,მიღებულ გამოცდილებას და შედეგების ანალიზს კი გამოიყენებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. დაგეგმავს რა უნდა გაითვალისწინოს ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე.კათედრის წევრები ინტენსიურად ავსებენ კათედრის კითხვარებს, აფასებენ კათედრის თავმჯდომარის და საკუთარ მუშაობას, აკეთებენ SWOT ანალიზს, მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ ისახავენ სამოქმედო გეგმებს. **ინდიკატორი შეფასდა შესაბამისად**

2. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მომდევნო სასწავლო წლისათვის კათედრები გაიზიარებენ წინარე გამოცდილებას და მონიტორინგის შედეგებს. მოახდენენ სასწავლო პროცესის სრული სურათის აღწერას და სამომავლო განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებების განსაზღვრას.
**ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია**
დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- **კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია**
- **სკოლის ერთწლიანი  სამოქმედო გეგმა**
- **ინტერვიუ მასწავლებლებთან**

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თარიღი :27.11.2023



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: